

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 5 ივლისის სხდომის

ოქმი №32

სტუ-ს სენატში წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს საერთო თანასარგებლობაში არსებული სახურავის ფართობის იჯარით გაცემის შესახებ, კერძოდ: კოსტავას ქუჩა №77-ში მდებარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული №2 შენობის სახურავზე (18 კვ.მ) ტელე-მონიტორის განთავსების თაობაზე. აღნიშნული საკითხის შესახებ სენატის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი) 24 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატში წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს საერთო თანასარგებლობაში არსებული სახურავის ფართობის იჯარით გაცემის შესახებ, კერძოდ: კოსტავას ქუჩა №77-ში მდებარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული №2 შენობის სახურავზე (18 კვ.მ) ტელე-მონიტორის განთავსების თაობაზე.

სენატმა გადაწყვიტა: იმის გათვალისწინებით, რომ კოსტავას ქ. №77-ში მდებარე შენობა №2-ის სახურავი (18 კვ.მ.) საერთო საკუთრებაში იმყოფება სტუ-სთან, შპს „კომპასთან“, სააქციო საზოგადოება „ბანკი რესპუბლიკასთან“ და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთან“ ერთად, ტელემონიტორის დამონტაჟების ტექნიკური შესაძლებლობის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სენატი არ არის წინააღმდეგი აღნიშნული ფართის იჯარით გაცემის თაობაზე.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე